თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

თავმჯდომარის ოთარ გრიგოლიას ანგარიში

2023 წლის
ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში, გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე;
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი.
- და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

❖ ფ რ ა ქ ც ი ა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ფრაქციის თავმჯდომარე

მე-7 მოწვევის საკრებულოში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს და ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელება; დემოკრატიული ღირებულებების, საერთო–სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრა და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან, სადაც ხდება მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

საანგარიშო წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), ფრაქციას ჩატარებული აქვს **18** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **26** საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება და გეგმაზომიერად იხარჯება ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად და მოქალაქეების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. დედაქალაქის ბიუჯეტი 2023 წელს მილიარდ 774 მილიონ 926 ათასი ლარია, რაც წინა წელთან შედარებით 142 მილიონ 794 ათასი ლარით არის გაზრდილი. ცხადია, წელსაც

პრიორიტეტულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ჯანდაცვა და სოციალური პროექტები, ინფრასტრუქტურული და გარემოს დაცვითი ღონისძიებები

ინფრასტრუქტურა

- როდესაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გამოვყოთ:
  მარშალ გელოვანისა და მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზა - **15 მლ. ლარი,**
  ჟვანიას მოედანი,
  მელიქიშვილის გამზირი - **6,5 მლ ლარი,**
  პუშკინის სკვერის მოწყობა-განახლება - **800 ათასი ლარი,**
  აკ. წერეთლის გამზირი **28 მილიონ 400 ათასი ლარი,**
  დიდუბის ხიდის რეაბილიტაცია **4 მილიონი ლარი,**
  დიდი დიღმის და ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა **12-12 მილ. ლარი**
  ბაგებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა - **35 მილიონი**

ტრანსპორტი

მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სატრანსპორტო პოლიტიკაა. აღსანიშნავია, რომ სრულიად განახლდა ავტობუსების პარკი, ძველი მიკროავტობუსები ახალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტის შესაბამისი მიკროავტობუსების შეიცვალა. დახაზა ბასლეინები, ველობილიკები. მიმდინარეობს მეტროსადგურების სრული რეაბილიტაცია, მატარებლის ვაგონების განახლება, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება. წარმატებით განხორციელდა ტაქსების რეფორმა. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია ერთი მთავარი მიზნისკენ - საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს მაქსიმალურად პოპულარული. მართალია, გამოწვევები ჯერ ისევ რჩება. უახლოეს მომავალში, 200 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი შემოვა დედაქალაქში, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს მგზავრთა გადაყვანას.

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისთვის გამოყოფილია **65,357.0** ლარი
  ტრანსპორტის განვითარებისთვის - **405,357.0** ლარი
  საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისთვის **50,000.0** ლარი
  მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობისთვის - 4,000.0 ლარი
  საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირებისთვის - 1 286,000.0

ჯანდაცვა

- მკვეთრად **გაზრდილია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების** დაფინანსების ხვედრითი წილი. **144 მილიონ 160 ათასი ლარით გაიზარდა.** მნიშვნელოვანია, რომ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა 300 -ით იზრდება და 1850 ბენეფიციარით განისაზღვრება. ხოლო ვაუჩერი 450 ლარამდე იზრდება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული პრემიერმინისტრის მიერ, კერძოდ: პირველი ივლისიდან ღვიძლის ტრანსპლანტაცია 100%-ით მთელი საქართველოს მასშტაბით დაფინანსდება. შესაბამისად, თბილისის მერიაც 100%-ით დააფინანსებს აღნიშნულ ოპერაციას. არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ახალი ქვეპროგრამა, რომელიც სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსებას ეხება და 500,0 ათასი ლარით განისაზღვრება. ქვეპროგრამა, რომელიც 2023 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის ოპერაციის დაფინანსებას გულისხმობს. ასევე, აღსანიშნავია, რომ გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტები და კვლევები სოციალურად დაუცველ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, 100%-ით უფინანსდება. ხოლო, ამ სტატუსის არმქონე დანარჩენ ჩვენს თანამოქალაქეებს, საჭიროებიდან გამომდინარე, მედიკამენტები 80%-ით უფინანსდებოდათ.

ქონების მართვა

- აქტიურად მიმდინარეობს საცხოვრებელი ფართების გადაცემის პროცესი სიმბოლურ ფასად და მიმდინარე წელს 240 მდე ოჯახს გადაეცა 13 ათას 140 კვ.მ
  თბილისში არსებული კოოპერატიული და დაუსრულებელი მშენებლობებით დაზარალებულთა დასახმარებელი ღონისძიებები: დაკმაყოფილდა 297 ოჯახი.

❖ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა, მიღებულ იქნა 615 განკარგულება და 105 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge.

ოთარ
გრიგოლია
ზურაბ
აბაშიძე

➢ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია - კომისიის წევრი

კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდში 2022 წლის 1 ნოემბრიდან მ/წლის 1 ნოემბრის ჩათვლით, ჩატარებულ იქნა 18 სხდომა და რიგი შეხვედრები. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 258 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 344 ცვლილება (დადებითი 332, გადაიდო 12).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 199 (198 დადებითი, 1 გადადებული)

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 58 პროექტი.

ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ გაიცა 16 თანხმობა (განკარგულება).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 9 პროექტი.

- **სარევიზიო კომისია - კომისიის წევრი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისია აკონტროლებს შემოსავლების ამოღების დროულობას და მათ აღრიცხვას, ხარჯების კანონიერებასა და თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან შესაბამისობას. საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 13 სხდომა. განვიხილეთ და რეკომენდაციები შევიმუშავეთ 37 საკითხზე, მათ შორის:

4 ნოემბერი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032230646-03, 02.11.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032230450-03. 31.10.2022წ.).

18 ნოემბერი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ **(საკრებულოს N12-032231961-03.15.11.2022წ.)** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით განხილვა.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

20 დეკემბერი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(საკრებულოს-N12-03224849-03. 14.12.2022წ.)** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ **(საკრებულოს N12-032234375-03.09.12.2022წ.)** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

3. ა(ა)იპ ქ.თბილისის №77-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

4. ა(ა)იპ ქ.თბილისის №86-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

27 იანვარი

1. ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო მასალების განხილვა;

2. ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის ა.მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

3. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2022 წლის 6 თვის (01.07.2022-31.12.2022წწ) მუშაობის ანგარიშის განხილვა.

21 თებერვალი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-03230451-03. 14.02.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

3. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 დეკემბრიდან - 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

4. სსიპ „ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფლებამოსილებას მიკუთვნებული ტრანსპორტის მიმართულებით 2018 წლის 1 აგვისტოდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

17 მარტი

1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-0323074115-03. 15.03.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (საკრებულოს:N12-032305945-03; 28.02.2023წ.) სარევიზიო კომისიის ანალიზი.

3. ქალაქ თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2022 წელს შესრულებულ სამუშაოთა **წლიური** ანგარიში.

11 აპრილი

1. ქალაქ თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში

გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

19 მაისი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032313081-03.10.05.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ“ (საკრებულოს-N12-03231183-03. 28.04.2023წ).

3. ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"-ს მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ “ქონების მართვის სააგენტო”-ს მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში (საკრებულოს - №06-03220396-03. 10.02.2022) ცნობის სახით;

6. 2023 წელს დამტკიცებული, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში (საკრებულოს - №02-032308960-03. 30.03.2023) ცნობის სახით.

9 ივნისი

1. ა(ა)იპ ქ.თბილისის №42-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

2. ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის“ მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო მასალების განხილვა;

30 ივნისი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-0323179137-03. 28.06.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

21 ივლისი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032320110-03. 20.07.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის (01.01.2023-01.07.2023წწ) მუშაობის ანგარიშის განხილვა.

25 აგვისტო

1. გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

22 სექტემბერი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-03236258-03. 19.09.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

3. ააიპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“- ს მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

4.

❖ აქტივობები

21.03.2023

სტრასბურგში ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 44-ე პლენარულ სესიაში მივიღე მონაწილეობა.

პლენარული სესია კონგრესის პრეზიდენტმა ლინდერტ ვერბეკმა გახსნა, რის შემდეგაც მოხსენებით ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მარია ბურიჩი წარსდგა. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის პლენარულ სესიაზე უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის ომის შესახებ დეკლარაცია მივიღეთ.

11.05.2023

თბილისის საკრებულოში წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მოადგილის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის თინათინ ნიბლოშვილის ორგანიზებით და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ინიციატივით ღონისძიება გაიმართა.

თბილისის საკრებულოში გამართულ ღონისძიებაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბუბა ლომუაშვილმა ყურადღება გაამახვილა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში მსგავსი ინიციატივების მნიშვნელობასა და ამ მიზნით სამომავლოდ, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაზე.

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო პირველი შეუერთდა ინიციატივას, რომელიც სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის წიგნების შეგროვებას ითვალისწინებდა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს 400-მდე წიგნი გადასცა.

30. 05. 2023

მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების XIII ფორუმის მუშაობაში, რომლის ფარგლებშიც ქალაქი ყოველწლიურად როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონის სპიკერებს მასპინძლობს.

ფორუმზე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ვისაუბრე, როგორიცაა ურბანული განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საჭიროებები, რაც ქალაქების სრულ ჩართულობასა და პროაქტიულ ქმედებებს მოითხოვს. ყურადღება გავამახვილე დედაქალაქში ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე, ასევე ურბანული განაშენიანების

მნიშვნელობაზე, სატრანსპორტო გამოწვევებზე, შრომის პოლიტიკასა და ურბანული განვითარებაზე.

6. 06. 2023

ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონთა საბჭოს კომიტეტის (CEMR) შეხვედრას ვუმასპინძლეთ. შეხვედრაში ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონთა საბჭოს კომიტეტთან ერთად ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა საბჭოს, შვედეთის, ნორვეგიის, გერმანიის, ფინეთის, ავსტრიის, ნიდერლანდების, საფრანგეთის, ჩეხეთის, ბულგარეთის და კვიპროსის დელეგაციები, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის, ასევე საქართველოს რამდენიმე რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

სტუმრებს ახალგორის გამგებელმა გელა შერმადინმა უმასპინძლა და მათ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. გარდა ამისა, გელა შერმადინმა სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ ისაუბრა და უცხოელ სტუმრებს ის ინფრასტრუქტურული პროექტებიც გააცნო, რომლებიც წეროვანში ბოლო დროს განხორციელდა.

4. 07. 2023

გერმანიის ქალაქ პოტსდამში ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც თბილისის საკრებულოს დელეგაცია დაესწრო.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა გუდრუნ მიოლერ-ტორნსტრომმა გახსნა. სხდომაზე განვიხილეთ და ხელი მოვაწერეთ პოტსდამის დეკლარაციას: საერთო პასუხისმგებლობა სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე.

ანგარიში 2023